

12 დღე - 2011

12 დღე - 2011



კატალოგის იდეა და ტექსტი: გია ბუღაძე
რედაქტორი: ნინო გუჯაბიძე
პროექტის ავტორები: სოფიო ჩერკეზიშვილი, როკო ირემაშვილი
თარგმანი: მაია კოიავა-ყიფიანი
კომპიუტერული მომსახურება: ირინა ელიოზოვა
განსაკუთრებული მადლობა: კახა ტრაპაიძეს, ამირან ანანიასვილი

Catalog idea and text: Gia Bughadze
Editor: Nino Gujabidze
Project authors: Sophia Cherkezishvili, Rocko Iremashvili
Translation: Maya Koyava-Kipiani
Computer service: Irina Eliozova
Special thanks to: Kakha Trapaidze, Amiran Ananiashvili

12 დღე 12 days

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის
სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის
ფერწერის მაგისტრატურის II კურსი

The Master's Degree II course,
Studio of Painting, Faculty of Visual Arts,
Tbilisi State Academy of Arts



სად გადის ზღვარი თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას შორის? არის თუ არა დამოუკიდებლობა რაიმე მოვლენისა თუ მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისაგან თავისუფლების ტოლფასი? ეგებ თავისუფალი არჩევანის უფლება მიზეზ-შედეგობრივი "შეზღუდულობისაგან" დამოუკიდებლობას გულისხმობს?

მსგავსი ტიპის შეკითხვები ჩნდება, როდესაც აკვირდები და უღრმავდები დღევანდელი ადამიანის არტიტული ქმედების რაობას. თვით საკითხის დასმა "არტიტულის" ე.ი. "უფუნქციო ჟესტის" და ფუნქციურად განსაზღვრულის, მიზანმიმართულის შესახებ, უკვე გულისხმობს განსხვავებას ან საზღვარს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას შორის.

ორი საუკუნის წინათ "რომანტიული ირონიით", სახელოვნებო დისტანციის გზით ცდილობდნენ თვითშემეცნების შესაძლებლობის დაძლევის და ეს გზა ახალი ცნობიერების დაწყებას მოასწავებდა; მე ვიტყვოდი, ეს იყო მოდერნული ცნობიერების საწყისი, გარიჟრაჟი.

დღეს ხელოვანი დაკვირვების, ცდისმიერი კვლევის ობიექტი თავადაა. ეს არ გულისხმობს "რომანტიზებულ" ინდივიდუალიზმს, რადგანაც ინდივიდუალური თვითგამოხატვის ტენდენცია ერთგვარ კრიზისულ ფაზაში, ჩიხში შევიდა და გარკვეულწილად "ფსიქოლოგიზმებით" ბანალურ გატაცებად იქცა. სამაგიეროდ, ინდივიდუალიზმის რომანტიული ინტენციიდან თანამედროვე არტიტულმა ჟესტმა გარკვეული დოზით შეითვისა, შეიწოვა თვითირონია, ან უბრალოდ საკუთარი კვლევის ობიექტისაგან ირონიული თვითდისტანცირება მოახდინა. ვფიქრობ, ეს "ირონიული დისტანცირება" დღევანდელი ადამიანის არტიტულ ორიენტაციასა თუ მისწრაფებას უხვად აქვს, რაც ამკარად იკვეთება "სუბიექტური მითოლოგიის" მეტაფორებითა თუ "არქეტიპული ალუზიებით" აღსავსე თანამედროვე არტში.

ადამიანი რეპრეზენტაციული, თვითგამოთქმადი, თვითგამომხატველი არსებაა; იგი თავის თავს "გამოთქვამს", ანუ საკუთარ თავს იმეცნებს, სწავლობს და წარადგენს. თუ ადამიანი არ იმეცნებს, არ სწავლობს, არ აყენებს ცდას საკუთარ თავზე, ანუ არ ცდილობს უფრო ინტენსიურად იცხოვროს და მხოლოდ არსებობს, მაშინ იგი ვერ იმოქმედებს, როგორც არტიტი, როგორც ადამიანი, რომელიც თავისი არტიტული ეგოიზმის გაფართოების გზით ცდილობს, უფრო ინტენსიური პულსაციის რანგში გადაიყვანოს ყოველივე ის, რაც მანამდე მხოლოდ არსებობდა, როგორც წარმოდგენა, ან აჩრდილი. ე. ი. ხელოვანის თვითკვლევითი რეპრეზენტაცია არსებობის განცდის ინტენსივობას აძლიერებს. და ამის შემდეგ არსებობის ინტენსივობა, თვითგანცხადების სიმძაფრე, ბევრად მატულობს, ვიდრე "ხელოვნებად ყოფნამდე" პროფანულ სამყაროში ყოფიერებად. ანუ ის, რაც ხელოვნებად იქცა, არსებობს.

ნებისმიერი მოვლენისა თუ ფაქტის, შინაგანი მდგომარეობისა თუ აზრის არაერთმნიშვნელოვანი წაკითხვა, მრავალპლასტიანი, თითქმის პალიმფსესტური "წაფენა", მრავალშრიანობა, სახელოვნებო კვლევის ობიექტს გარკვეულ რეალობად აქცევს, რომლის არსებობა-არარსებობა, მე ვიტყვოდი, რადიკალურ, დღევანდელი გადმოსახედიდან ცოტა მოცვეთილ, მაგრამ მაინც ძალზე აქტუალურ "დასკვნით შეკითხვებს" დაგვასმევიწინებს არსებობის რაობისა და მიზანშეწონილობის შესახებ. შეკითხვის დასმა, თვითირონიული დისტანცირება, შინაარსობრივ-მეტაფორული მრავალშრიანობა ინტენსიური არსებობის განცდას ბადებს. ცნობიერების ამ კომპლექსის აღქმისას რეალური ხდება ის განცდა, რომ ხელოვნებად ქმნისას უფრო ცხადად, უფრო ინტენსიურად არსებობ, ვიდრე ემპირიულ ყოფაში. არსებობის მძაფრი განცდა გონებად ყოფნას ნიშნავს, ე.ი. არსებობ იმიტომ, რომ აზროვნებ და ქმნადობ; არსებობ ინტენსიური ყოფიერებით, ე.ი. ხელოვნებაში არსებობ. ხელოვნების, როგორც მოვლენის, მიზანია, რომ თავისი "ეგოიზმის" ფარგლებში მოაქციოს კრეატიულ-სააზროვნო მოტივთა მთელი წყება, რომელთა მოაზრებაც ხელოვნებად ადრე თითქმის შეუძლებელი იყო. ამავე დროს, ამ ე.წ. ეგოისტურ "ელაპვა-შეთვისებას" იმის უნარიც გააჩნია, რომ

Where are the boundaries drawn between the freedom and the independence? Is the independence equated to being dispensed from a certain event or causality relationship? Probably, the right of free choice implies being independent from the causality "restrictions"?! The similar questions occur when observing and extending the essence of the contemporary human's artistic activity. Questioning right the issue on what is the "artistic" and/or the "un-functional gesture", the functionally defined, the goal-oriented, it already means the difference or the boundary lining between the freedom and the independence.

Two centuries ago, there were made attempts to overbear the self-cognitive capabilities following a way of a "romantic irony" and art distancing, and this very way had led to a birth of a new consciousness, I would say, it was just the initial point, daybreak of the modern consciousness.

Today, the artist himself is the subject for observing, experimental research. It doesn't imply the "romanticized" individualism, because the individual self-expressing tendency has reached a certain crisis phase, the dead end and became the banal fascination with "psychologisms". Instead, the contemporary artistic gesture has adopted, absorbed a certain dose of self-irony from an individualistic romanticized intention, or simply managed to become ironically self-distanced from the object of a private research. I suppose, that the current human's artistic orientation or aspiration has a great deal of this kind of "ironical distancing", that is clearly discerned in contemporary art, full of the "subjective mythology" metaphors or "archetype allusions".

The human is the representational, self-expressing, self-depicting being. He outlines, or self-perceives, or studies and represents himself. If a man makes neither cognition, nor studying, and also, doesn't experiment with himself, it means that he doesn't make attempts to live intensively and exists only. In this case, he won't act as an artist, as a human, who, following a way of expanding his artistic egoism, tries, that all, existing previously as an imagination, or a shade, to be transformed into more intensive pulsing rate. It means that the artist's self-research enhances the feeling intensity of existence. As a result, it increases, the self-depiction raises much more acutely, than it had been in the customary world of "before becoming the art".

Learning of any kind of event or fact, inner condition or thought not in a univocal way, the multi-leveled, multi-planed, the kind of "stratification", multi-levelness transforms the object of an artistic research into the definite reality, existence-nonexistence of which, as I would say from the today's radical point of view, produces some what shabby, though the indeed very urgent "concluding questions" about the being and expedience. Questioning itself, self-ironical distancing, the content-metaphoric multi-levelness gives the birth to the feelings of an intensive existence. While perceiving this complex of cognition, the feeling of being transformed into art, where you exist more intensively, vividly, than in an empiric existence, becomes realistic. The sharp feeling of existence means the existence of mind, or, you exist because you think and create, you exist with the intensive being, and thus, you exist in art. The aim of art, as an event, is to include the complete set of the creative-thinking motives, considering of which as an art, was unimaginable before, into the self "egoism" frames. At the same time, the so called "egoistic" swallowing-learning" was also capable to renovate the imagination towards the everyday customary world and do it with a renewed sight, changing the context and unexpected content or irony, self-research or other "distancing-differentiating-defining" strategy.

The Meditative-creative impulses, the renewed sight, manipulating with context, transformation of functions - all of it create the sharp feeling of the overall self-realizing existence. Obtaining of this feeling requires training and studies. I consider this process as an exact depiction of one, taking place at the Master's Degree Course of the Faculty of Visual Arts, Tbilisi State Academy of Arts. Conducting these kind of creative processes had been thought over long ago, first with a certain outline, general conception, and after overcoming rather hard administrative-program processes, the idea has been established as a study program, been realized only after inviting the



Salome Riggava - Milk

Canvas, oil

Video



სალომე რიგვავა - რძე

ვიდეო

ტილო, ხეიბი



Photo

ფოტო




Video

ვიდეო

Inga Batatunashvili- Without pain

ინგა ბატატუნაშვილი - ტკივილის გარეშე




Canvas, oil

ტილო, ზეთი



ვიდეო ინსტალაცია



Installation with video projection



Giorgi Rukhadze - Silence

Installation with video projection

პედი ინსტალაცია

ბიოლოგიის მუზეუმი - ლუბილი

განახლებული მზერით, კონტექსტთა შეცვლით და მოულოდნელი შინაარსით ან ირონიით, თვითკვლევით, თუ სხვა “დისტანცირებად-დიფერენცირებად-დეფინირებადი” სტრატეგიით განგვიახლოს წარმოდგენები, თუნდაც ყოველდღიურ, პროფანულ სამყაროსთან მიმართებით.

მედიტაციურ-კრეატიული იმპულსები, განახლებული მზერა, კონტექსტით მანიპულირება, ფუნქციათა ტრანსფორმირება – ყოველივე ეს თვითრეალიზებადი ყოფიერების ძლიერ განცდას იძლევა. ამ განცდის მოპოვება მუდმივ ვარჯიშსა და მეცადინეობას მოითხოვს. სწორედ ამის გამოხატულებად განვიხილავ იმ პროცესს, რომელიც დღეს ჩვენს სამხატვრო აკადემიაში, სახვითი ფაკულტეტის ფერწერის მიმართულების მაგისტრატურაში მიმდინარეობს. ამგვარი კრეატიული პროცესების წარმართვა საკმაოდ დიდი ხნის წინ იქნა ჩაფიქრებული, ჯერ გარკვეული მონახაზის, ზოგადი კონცეფციის სახით, ხოლო საკმაოდ რთული ადმინისტრაციულ-პროგრამული პროცესების გავლის შემდეგ ეს იდეა სასწავლო პროგრამად ჩამოყალიბდა; მისი განხორციელება კი ორი ახალგაზრდა, ნიჭიერი მხატვრის, როკო ირემაშვილისა და სოფიო ჩერქეზიშვილის, პედაგოგებად მოწვევის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ამ იდეალის განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად კი ჩვენი კურსდამთავრებულების (ბაკალავრების) განსაკუთრებული მონაცემები და მათი მოტივაცია იქცა.

ამ ჩანაფიქრის განხორციელების მთავარი პრინციპი ახალგაზრდის თანდათანობით “გამოღვიძებას”, “გამოფხიზლებას” გულისხმობს; ჩვენი ამოცანაა მუდმივი და ქმედითი აზროვნების გახსნა.

ახლა ორი სიტყვით ამ “გამოფხიზლება-გაღვიძების” შესახებ. ჩემი აზრით, არსებობს ასაკობრივი მზაობის ფაქტორი, რომელიც იმთავითვე უნდა იქნას გათვალისწინებული. ვგულისხმობ გათავისუფლებისაკენ მიმავალ ერთგვარ ეტაპობრივ, იერარქიულ გზას. საწყის ეტაპზე „ანბანის“ ათვისება ხდება, ”აი იას“ სწავლების ეს პროცესი ორი წელი გრძელდება. მხატვრობის საფუძვლების ათვისების შემდგომ, სტუდენტები საკუთარი არჩევანის მიხედვით, კონკრეტული პედაგოგის სახელოსნოში ინაცვლებენ. აქ დგება ახალი ამოცანა: სტუდენტმა, პედაგოგის აქტიური დახმარებითა და ხელშეწყობით, არა მარტო რთული სტანდარტული ამოცანები უნდა გადაჭრას, არამედ შემოქმედებითი პროცესი საკუთარი ინდივიდუალური თავისებურების ჩამოყალიბების და საკუთარი თავის, როგორც ადამიანისა და შემოქმედის, პოვნის პროცესად უნდა აქციოს. ეს მეორე ეტაპია, რომელზეც სტუდენტი ე.წ. „გამოღვიძებას“ იწყებს, ანუ პირველ ნაბიჯებს დგამს შემოქმედებისაკენ. მესამე ეტაპი კი უკვე მაგისტრატურაში ხორციელდება: წინა ეტაპებზე შეძენილი გამოცდილება, ათვისებული პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ასაკობრივი სიმწიფე, კონკრეტული სააზროვნო მოტივაცია – საშუალებას იძლევა, რათა სტუდენტი-მაგისტრანტი აქტიურად ჩაუღრმავდნენ შემეცნებითი ძიებების რთულ ფილოსოფიურ და ეთიკურ არსს, გააქტიურონ შემეცნების პროცესი და კრეატიულ აქტად, არტისტულ ქმედებად გარდაქმნან. ამიტომაც ამ ეტაპზე პედაგოგთა შერჩევა და მოწვევა მათი აქტიური კრეატიულ-ფილოსოფიური ტემპერამენტის გათვალისწინებით ხდება. ამ დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ თვით პედაგოგი და მაგისტრანტი შემოქმედებითი ძიების ადეკვატურ, თანხვედრ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ორივენი ერთად ეძებდნენ და ქმნიდნენ. ეს არის კვლევა-შემეცნების შემოქმედებითი პროცესი, რომლის დროსაც პედაგოგისა და სტუდენტის ინდივიდუალური ინტერესები და მისწრაფებები იდენტურია. ეს მართლაც იდეალია.

სწორედ ეს მოხდა ფერწერის მაგისტრატურის მეორე კურსზე, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ. ჩემთან ერთად პედაგოგად მუშაობს ორი შესანიშნავი არტისტი – სოფიო ჩერქეზიშვილი და როკო ირემაშვილი. მათზე არჩევანი შემთხვევით არ შემიჩერებია, ორივენი ნიჭიერი, აქტიური, „დაუდგრომელი“ ხელოვანები არიან, რითიც თავდადებისა და შრომისმოყვარეობის კარგ მაგალითს აძლევენ სტუდენტებს და ამასვე თხოულობენ მათგან. სწავლის პროცესი, ფაქტობრივად, ეს არის ”კრეატიულ-კოგნიტური” რიტუალი, რომელიც გულისხმობს აზროვნების ინტენსივობის

two young talented artists Rocko Iremashvili and Sophia Cherkezishvili as the guest professors. One of the premises for realizing this ideal condition, were the extraordinary skills and motivation of the academy BA graduates.

The main principle for realization of this intention was “waking up”, “sobering” the young artist, our task was creation of the constant and efficient thinking.

Now, few words about the process of “sobering-waking up”. In my opinion, there exists the factor of maturation age, that should be taken into account immediately. I mean the hierarchic way, consisting of some kind of stages, that points towards freedom. At the starting point, mastering the “alphabet” takes place, the process of studying the ins and outs holds two years. After acquiring the basics of arts, the students move to the studio of a selected teacher, according to their choice. The new task comes up here: the student, with an active support and facilitation of a teacher, has to solve not only the complicated standard problem, but also, to transform the creative process into the one of establishing the individual peculiarities and himself, as the personality and creative artist, just into the process of discovering.

This is the second stage, when the student starts to “wake up” or makes first steps towards creative acting. The third stage is realized at the Master’s Degree studies. The experience, gained during the previous stages, the acquired practical skills, the maturation age, the concrete thinking motivation provide them an opportunity to actively expand the complicated philosophical and ethical essence of cognitive searching, to activate the cognition process, and to transform it into the creative act, artistic activity. That’s why, selecting and inviting the professors for teaching at this stage is carried out by taking into account their active creative-philosophical temperament.

At the moment, it’s of great importance, the teacher and the Master’s undergraduate to be in a condition of being in adequate coincidence, to jointly search and create. It is the research-cognition creative process, along which the teacher’s and student’s individual interests and aspirations are identical. It’s the truly ideal condition.

Just the very case had taken place with the second year Master’s Degree students, whom I am supervising. Together with me, the students had been working with the two wonderful artists - Sophia Cherkezishvili and Rocko Iremashvili. They hadn’t been selected by chance, both of them are talented, active, “inconstant” artists, who provide the students with an example of devotion and diligence and require the same from them. Actually, the studying process is the “creative-cognitive” ritual, that implies enhancing the thinking intensity, maximum expression of self - capabilities, passing through an intense research, the artistic selflessness.

In the short run, the task for presenting the outcomes of such approach has occurred.

We have elaborated the significant project “12 Days”, that implied arranging the exhibitions every day, following after one another, during 12 days, to be held in a small, wonderful gallery “Academy+”. Each evening, each of the students had to exhibit his/her work presentation. It’s clear that arranging the one day exhibition-presentation was obtained as a result of a hard work: selection of a theme, definition of an idea, searching for the appropriate expression tools, practical realization. Usually, the working process was followed by the analysis, discussions, controversy, argumentations, by enrolling the students and teachers.

The self-cognition of the human is done by the self-aliening, by exhibiting his peculiar created work. From this point of view, it’s important the works to be displayed to the public, because it’s the only way for self-evaluation, becoming aware of own capabilities and the scale for acting. At the same time, an important question occurs: Will the young artist be able to squeeze-out himself, not deplete, but sift - squeeze-out!/? Will he be able to pull together the analytical and emotional impulses in creative working, to conduct the general artistic intellectual act.

The students have faced the following task: they should have to destroy the fields boundaries and create new contexts. For example, in case of a video, they had to create neither a typical clip, nor the design at all, as well as, not to present the easel products; in case of



გაზრდას, საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას, ინტენსიური კვლევის მიმდინარეობას, არტისტულ თავგანწირვას.

ძალიან მალე ამ შრომის შედეგების საზოგადოების წინაშე გამოტანის ამოცანაც დადგა.

ჩვენს მიერ ჩაფიქრებულ იქნა მნიშვნელოვანი პროექტი "12 დღე", რომელიც გულისხმობდა თორმეტი დღის განმავლობაში ახალ-ახალი გამოფენების მოწყობას აკადემიის პატარა, შესანიშნავ გალერეაში – "აკადემია +". ყოველ საღამოს თითო სტუდენტის პროექტის პრეზენტაცია უნდა გამართულიყო. ცხადია, ამ ერთდღიან გამოფენა-პრეზენტაციას დიდი სამუშაო უძღოდა წინ: თემის შერჩევა, იდეის გამოკვეთა, შესაბამისი ხერხების მოძიება, პრაქტიკულად განხორციელება. სამუშაო პროცესს, ჩვეულებრივ, თან სდევდა ანალიზი, მსჯელობა, დავა, კამათი, რომელშიც ჩართულნი იყვნენ როგორც სტუდენტები, ისე პედაგოგები.

ადამიანის თვითშემეცნება სწორედაც რომ "თვითგაუცხოებით", საკუთარი ნაღვანის ექსპონირებით ხდება. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მისი წარდგენა საზოგადოების წინაშე, რადგანაც მხოლოდ ამ შემთხვევაში ეძლევათ ახალგაზრდებს საკუთარი თავის, შესაძლებლობებისა და დიაპაზონის შეფასების საშუალება. ამავე დროს, ისიც მნიშვნელოვანია, შეძლებს თუ არა ახალგაზრდა საკუთარი თავის გამოწერვას; არა ამოწურვას, არამედ გაცრა-გამოწურვას!? შეძლებს თუ არა იგი ანალიტიკური და ემოციური იმპულსის შეთანხმებას საქმეში, ზოგადარტისტული ინტელექტუალური აქტის ჩატარებას.

სტუდენტების წინაშე ასეთი ამოცანა იდგა: მათ უნდა დაენგრიათ დარგთა საზღვრები და შეექმნათ ახალი კონტექსტები. მაგ.: ვიდუოს შემთხვევაში ეს არ უნდა ყოფილიყო ტიპური კლიპი, არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეექმნათ დიზაინი; ფერწერის შემთხვევაში, თუ კი ისინი ამ მედიუმს გამოიყენებდნენ, არ უნდა წარმოედგინათ დაზგური პროდუქცია, ინსტალაციის შემთხვევაში – სცენოგრაფია, ვერბალური დეკლამაციის შემთხვევაში – მხატვრული კითხვა, დესკრიფციის შემთხვევაში – დღიური, ობიექტის შექმნისას – საგნობრივი ხელოვნება, ანუ კოლაჟი/ასამბლაჟი, ფილოსოფიური სენტენციის შემთხვევაში – მორალიზმი, სოციალურ/პოლიტიკური პრობლემის დასმის შემთხვევაში – პოზიცია. სააზროვნო კოგნიტური ინტენცია თავისუფალი უნდა ყოფილიყო, როგორც "ფსიქოლოგიზმებისაგან", ასევე ესთეტიზირებადი ტკბობისაგან.

ეს არის "12 დღე", თორმეტი საზეიმო საღამო ჩვენი გულებისა და გონებისათვის.

გონების სიფხიზლე, მსჯელობის სიწრფელე და სიმახვილე, ფანტაზიის კრიტიკული კონტროლი, ინტელექტის მუშაობა მრავალი მიმართულებით და რაც მთავარია, რწმენა იმისა, რომ წინ დიდი და მრავალფეროვანი შემოქმედებითად აქტიური სიცოცხლე გველის.

მე მადლობელი ვარ ჩემი ახალგაზრდა კოლეგების, მოწვეული პროფესორების, სოფიო ჩერქეზიშვილისა და როკო ირემაშვილის, მათი უანგარო შრომისა და ჩვენი საერთო საქმისადმი სიყვარულისათვის.

მადლობა ჩემს ძვირფას სტუდენტებს, მათთან მუშაობა დიდი სიამოვნება იყო ჩემთვის. მიჭირს გამოვყო რომელიმე მათგანი; ამიტომ ვიტყვი, რომ მათი წარმატება ჩემს პირად, დიახ, პირად წარმატებად მიმაჩნია. მათი წინსვლა ისევე სასიხარულოა ჩემთვის, როგორც ჩემი შვილებისა.

ძვირფასო კოლეგებო, გისურვებთ წარმატებებს!

გია ბუღაძე
პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი,
სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ფერწერის მაგისტრატურის
სახელოსნოს ხელმძღვანელი

installations – they had not to address to scenography, in case of verbal declamation-to oral reading, in case of description-to a diary writing, in case of an object creation-to a subjective art or collage/assemblage, in case of philosophical sententia - to a moralism, in case of the social/political issues questioning - to a position.

The thinking cognitive intention should be free from “psychologism”, as well as from the estheticized admiration.

This is “12 Days”, the twelve festivity evenings for our hearts and minds.

It’s the vigilance of mind, the sincerity and acuteness of discussing, critical control of fantasy, intellect acting in various directions and the main thing, the belief in expectations for the great and diverse creatively active life ahead.

I’d like to express gratitude to my young colleagues, guest professors Sophia Cherkezishvili and Rocko Iremashvili, for their impersonal acting and the love for our joint activity.

Thanks to our Dear students, working with them was true pleasure for me. I’m unable to single out one of them. The only thing I’d like to say, that I consider their success as of mine, yes, as of my private success. For me, their achievements are the same as of my children’s.

Dear Colleagues, I wish you success!!!

Gia Bughadze
Professor, Rector of the Tbilisi State Academy of Arts,
Head of the Master’s Degree Studio of Painting, Faculty of Visual Arts



Oil, canvas

Paper, acril

Ioseb Kumsiashvili - Desire to fly





ქალაქი, აკრილი

ტილო, ზეპი



იოსებ კუმსიაშვილი - ვიშნის სუფილი



Installation with video projection



Nuka Megrelishvili - Waves

ნუკა მეგრელიშვილი - ტალღები



Nutsa Kanadashvili - It is not me




Installation with video projection

ვიდეო ინსტალაცია



ნუცა კანადაშვილი - ეს მე არა ვარ




Video

30ლპო

Tamar Maglaperidze-Dadeshkeliani - From sky to sky

თამარ მაგლაპერიძე-დადუშქელიანი - ციდან ცაგდე






Marika Manjgaladze - I would be the gold, if being able to make it transparent

წილეო ინსტალაცია

მარია მანჯგალაძე - მე ვიქნები ოქრო, თუ შევძლებ მის გაუმჭვირველს




ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტილო, ზეთი

Oil, canvas

Lulu Gamkrelodze - My garden

ლულუ გამკრელიძე - ჩემი ბაღი



ქართული
წინააღმდეგობა

Installation with video projection

ვიდეო ინსტალაცია

Mari Khevsuriani

მარი ხევსურიანი



ვიდეო ინსტალაცია


სილიკონი

ტილო, კიბეხენტი, ვიდეოპროექცია

Silicone



Canvas, pigment, video projection

Sand



ვიდეო

Video



გონა ქუჩაძე - არქივი

Installation with video projection

Gocha Jgenti - Archive



თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
გრიბოედოვის ქ. № 22; 0108
თბილისი, საქართველო

Tbilisi State Academy of Arts
№ 22; Griboedov str. 0108
Tbilisi, Georgia

Tel: (995 32) 293 69 59
Fax: (995 32) 293 46 65

www.artacademy.edu.ge
Email: info@atracademy.edu.ge



12 days - 2011